# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 01

2019 წ. „13“ 02

ქ. თბილისი

### შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $56^2$ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, $56^3$ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ:201951637) 6 წლით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.
2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №1 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ.თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავჯდომარე

მარიამ დარბაიძე

მდივანი

ნინო ხოლუაშვილი

*დანართი*

| № | პროგრამის დასახელება | სწავლების ენა | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით) | ECTS | ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ | შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | გემის მექანიკა | ქართული | ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში - 0419 | 240 | აკრედიტებული | №191, 2013 წლის 10 დეკემბერი<br><br>(რეაკრედიტაცია გაიარა 2018 წლის 6 დეკემბერს) |
| 2. | საზღვაო ნავიგაცია | ქართული | საზღვაოსნო მეცნიერების ბაკალავრი - 1110 | 240 | აკრედიტებული | №190, 2013 წლის 10 დეკემბერი<br><br>(რეაკრედიტაცია გაიარა 2018 წლის 6 დეკემბერს) |
| 3. | საერთაშორისო გადაზიდვების | ქართული | ტრანსპორტის ბაკალავრი - 0407 | 240 | აკრედიტებული | №192, 2013 წლის 10 დეკემბერი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ორგანიზაცია და მართვა | | | | | (რეაკრედიტაცია გაიარა 2018 წლის 6 დეკემბერს) |
| 4. | სატრანსპორტო ლოგისტიკა | ქართული | სატრანსპორტო ლოჯისტიკის მაგისტრი - 040704 | 120 | აკრედიტებული | №10, 2019 წლის 16 იანვარი |
| 5. | გემის ენერგეტიკული დანადგარები (ერთობლივი პროგრამა ნიკოლაევის ადმირალ მაკაროვის სახელობის გემთსაშენ ეროვნულ უნივერსიტეტთან) | ქართულ/ რუსული | ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში - 0419 | 250 | აკრედიტებული | №84, 2015 წლის 24 ივლისი |